# ფასთა მოკვლევა საოფისე და სასაწყობე შენობის მსუბუქი ლითონკონსტრუქციით მოწყობაზე

## პასუხები ხშირად დასმულ შეკითხვებზე

**შეკითხვა:**

სარემონტო მასალების შესახებ განფასებაში მწირი ინფორმაციაა. შეგიძლიათ გვითხრათ რა ხარისხის მასალებია მოთხოვნილი? მაგალითად, თაბაშირ-მუყაო როგორი ხარისხის უნდა იყოს, ასევე გვსურს დავაზუსტოთ კერამიკული ფილის და ლინოლეუმის ტიპი და ხარისხი -

**პასუხი:**

განფასებისას გაითვალისწინეთ საშუალო ხარისხის პროდუქციის საბაზრო ღირებულება. შერჩეულ კონტრაქტორთან ერთად შემდგომ ეტაპზე დაზუსტდება თითოეული მასალის კონკრეტული  ტიპი და განფასებაც ამის მიხედვით დაკორექტირდება.

**შეკითხვა:**

BOQ-ში არის ცალკე (N5) პოზიცია - კონსტრუქციული პროექტი. ნიშნავს თუ არა ეს რომ სამუშაოებში შედის დეტალური კონსტრუქციული პროექტის მომზადება?

**პასუხი:**

დიახ. კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს დეტალური კონსტრუქციული პროექტის მომზადებაც.

**შეკითხვა:**

სად არის გათვალისწინებული პროექტის განხორციელება?

**პასუხი:**

მშენებლობა იგეგმება თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე.

**შეკითხვა:**

BOQ - ში არის პუნქტი სასაწყობე კარები, მაგრამ არ არის მითითებული რაოდენობა. ასევე მინდა გკითხოთ როგორი ტიპის და ხარისხის კარები უნდა იყოს?

**პასუხი:**

სასაწყობე კარი არ ეწყობა.

**შეკითხვა:**

საიტზე დაცვის მომსახურებას უზრუნველყოფს შემსრულებელი თუ დამკვეთი?

**პასუხი:**

დასაზუსტებელია, თუმცა განფასება მოამზადეთ  დაცვის მომსახურების სერვისის გარეშე.

**შეკითხვა:**

მოსამზადებელ სამუშაობში, დროებითი ელექტროობისა და წყალმომარაგების მოწყობაში კომუნალური ხარჯები შემსრულებლის მხარეა? გვაინტერესებს უნდა შევიყვანოთ თუ არა ღირებულებაში?

**პასუხი:**

დიახ, აღნიშნული ხარჯი შემსრულებლის მიერაა გასაწევი და უნდა შეიყვანოთ  განფასებაში.

**შეკითხვა:**
დაახლოებით რა პერიოდში უნდა დასრულდეს სამუშაოები?

**პასუხი:**
სამუშაოები უნდა დასრულდეს 2 კალენდარულ თვეში.

**შეკითხვა:**

გრუნტის მოჭრაში შედის თუ არა მისი ტერიტორიიდან გატანაც?

**პასუხი:**
დიახ, სამუშოებში შედის გრუნტის გატანაც

**შეკითხვა:**
შედის თუ არა სამუშაოებში გათბობა-გაგრილების სისტემის მოწყობა?

**პასუხი:**

გათბობა-გაგრილების სისტემის მოწყობა სამუშაოებში არ შედის.

**შეკითხვა:**

შედის თუ არა სამუშაოებში ელექტრული სისტემის მოწყობა?

**პასუხი:**

ელექტრული სისტემის მოწყობა სამუშაოებში არ შედის.

**შეკითხვა:**
დროებითი წყალ და ელექტრომომარაგება ღია წესით მოეწყობა თუ თხრილებში?

**პასუხი:**
ჯერჯერობით უცნობია. დასაზუსტებელია სამუშაოების ორგანიზების ეტაპზე.

**შეკითხვა:**
"დამხმარე მანქანა" ყველგან რაოდენობა მითითებულია  კუბ.მ. აქ ჩვენ უნდა შევარჩიოთ და ჩავწეროთ საჭირო მანქანების სახეობა და ხარჯი?

**პასუხი:**

მისათითებელია დამხმარე მანქანების საშუალო ხარჯი 1 $м^3$ ზე.

**შეკითხვა**
არსებობს თუ არა საძირკვლის გეგმა?

**პასუხი:**

ვინაიდან ჯერ-ჯერობით არ არის სრული კონსტრუქციული ნახაზი (ის უნდა მოამზადოს შერჩეულმა კონტრაქტორმა), შესაბამისად უნდა  იხელმძღვანელეთ ხარჯთაღრიცხვაში მითითებული მოცულობებით.

**შეკითხვა:**
არ ჩანს ბადის ბიჯი. ამავე დროს მოთხოვნილია იატაკის ორმაგი არმირება. ბადის რაოდენობა ერთი ფენისათვის არის მოცემული?

**პასუხი:**
განაფასეთ ერთი ფენისთვის მოცემული მოცულობის მიხედვით.

**შეკითხვა:**
არ არის მოცემული კონსტრუქციის აწყობის, შეერთებების ნახაზები და დეტალები (თუ ჩვენი  გადასაწყვეტია?);

**პასუხი:**
ვინაიდან ჯერ-ჯერობით არ არის სრული კონსტრუქციული ნახაზი (ის უნდა მოამზადოს შერჩეულმა კონტრაქტორმა), შესაბამისად უნდა  იხელმძღვანელეთ ხარჯთაღრიცხვაში მითითებული მოცულობებით.

**შეკითხვა:**
რა სახით უნდა ჩაბარდეს ბეტონი (მოპრიალებლი, შეღებილი)?

**პასუხი:**
ბეტონი უნდა ჩაბარდეს მოპრიალებული სახით.

**შეკითხვა**
შიტი "კონტეინერი", როგორც ჩანს, ეს იქნება დროებითი ნაგებობა, თუ დარჩება შემდგომშიც?

**პასუხი:**

მოსაწყობია მუდმივი შენობა ნაგებობა.